

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატის კონკურსის წესით შესარჩევი დროებითი სარეკომენდაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატის კონკურსის წესით შესარჩევი დროებითი სარეკომენდაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) თავის საქმიანობას წარმართავს „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. საბჭოს მიზნები და ამოცანები

საბჭოს მიზნები და ამოცანებია:

ა) კონკურსის გზით სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის საუკეთესო კანდიდატის შერჩევა;

ბ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის (შემდგომში - მინისტრი) კანდიდატის დასანიშნად წარდგენა.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

ა) საბჭო შედგება 11 წევრისაგან, აქედან 9 მონვეული წევრისაგან, მინისტრისა და მინისტრის მოადგილისაგან;

ბ) საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით;

გ) საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნამდე;

დ) საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატის შესარჩევ კონკურსში.

მუხლი 4. საბჭოს სხდომების წარმართვა

საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს და წარმართავს მინისტრი.

მუხლი 5. საბჭოს მუშაობის წესი

ა) საბჭო სამხატვრო ხელმძღვანელობის პრეტენდენტთაგან, კონკურსის საფუძველზე, წარმოდგენილი პროგრამისა და ხედვის მიხედვით, შეარჩევს შესაბამის საუკეთესო კანდიდატს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს.

ბ) საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა $\frac{2}{3}$, არანაკლებ 7 წევრისა.

გ) კანდიდატის გამოსავლენად საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

დ) ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.

ე) საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი.

მუხლი 6. სამხატვრო ხელმძღვანელის კონკურსის გამოცხადების წესი და პირობები

ა) სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო პირობები და ვადები განისაზღვრება საბჭოს მიერ, ხოლო კონკურსის აცხადებს სამინისტრო.

ბ) თითოეული კანდიდატი საკონკურსოდ წარადგენს 4 წლიან სამოქმედო პროგრამას.